ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: არქეოლოგია / Archaeology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქეოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Archaeology
სპეციალობა: არქეოლოგია/ Archaeology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი. სამაგისტრო პროგრამაში 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 65 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 25 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, სამაგისტრო ნაშრომი არის 30 ECTS კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს არქეოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; გაუღრმავოს ცოდნა დარგის ისტორიასა და მიღწევებში, მისი მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონების დადგენისა და ისტორიული მოვლენების რეკონსტრუირების საქმეში; ცივილიზაციათა კულტურულ–ისტორიული ევოლუციის ჭრილში კავკასიის რეგიონის, განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელობის განსაზღვრა; გააცნოს მსოფლიოში უძველესი საზოგადიების კულტურული მემკვიდრეობა; შეასწავლოს საველე, საფიქსაციო და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების თანამედროვე სტანდარტები და მეთოდები; შეასწავლოს მატერიალური ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრის, სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის დადგენის მეთოდოლოგია. პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე არქეოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუციის, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში, ბოლო დროინდელმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა საქართველოს ტერიტორიაზე (მხედველობაშია დმანისში აღმოჩენილი "ჰომო ერგასტერი", რომლის ასაკია 1.800.000 წელი) ორჯერ გაზარდა ევროპაში ადამიანის არსებობის ისტორიის ხანგრძლივობა და დასახა ახალი პერსპექტივა გადაისინჯოს დედამიწაზე ადამიანის განსახლების თეორიები. პროგრამის მიზანია მოამზადოს არქეოლოგიური რეალობისა და თავისებურებების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტი, რომლისთვისაც კარგად იქნება ცნობილი არქეოლოგიური პრობლემები. რეგიონის არქეოლოგიური კვლევის აქტუალობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დღევანდელი საჭიროებებიდანაც გამომდინარეობს. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მაგისტრატურაში სწავლის დროს მოხდება ძირითადი აქცენტის გადატანა არქეოლოგიის იმ მიმართულების უმთავრეს საკითხებზე, რომელიც მაგისტრანტის კონკრეტული ინტერესების სფეროს სრულიად შეესაბამება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ან მათ დარგებსა და ქვედარგებში მინიჭებული ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული-დიპლომირებული სპეციალისტის) ხარისხი.
- საერთო სამაგისტრო გამოცდები

- სასპეციალიზაციო გამოცდა არქეოლოგიაში
- უცხო ენა (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის). პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხო ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლების შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება:
კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიური კვლევების აპრობირებულ მეთოდებსა და მათი გამოყენების ტექნიკაში; ფლობს ცოდნას, რომლის მიხედვითაც არტეფაქტებზე და სხვა მატერიალურ ძეგლებზე დაყრდნობით შეუძლია ეპოქისა და კულტურული მოდელის რეკონსტრუქცია. ფლობს გეოფიზიკური აგეგმვითი სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო ღრმა ცოდნას. აქვს სრული წარმოდგენა კლასიკური ხანის ნივთიერი კულტურის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლების, ანტიკური არქეოლოგიის დარგში და თანამედროვე პერიოდში ჩატარებული კვლევა–ძიების ძირითადი მიღწევების შესახებ; კურსდამთავრებული სიღრმისეულად ფლობს მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს, რაც აუცილებელია მეცნიერებებში სტატისტიკური კვლევების ჩასატარებლად და ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისათვის. ფლობს მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და სათანადო დასკვნების გაკეთების სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთვრებულს შეუძლია მასალის გადარჩევისა და განზოგადების პრინციპებითა და საშუალებებით ოპერირება და დამოუკიდებელი კვლევების წარმართვა. შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს ინფორმაცია ნებისმიერი მასალის შესახებ როგორც ინტერნეტის, ასევე საველე პირობებში. აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს და აფასებს მასალას, რაც საშუალებას აძლევს კომპლექსური პრ ობლემების გადაწყვეტისათვის მოიძოს ახალი, ორიგინალური გზები. აქვს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით სამუშაოების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. კურსდამთავრებულს შეუძლია არტეფაქტებზე და სხვა მატერიალურ ძეგლებზე დაყრდნობით ეპოქისა და კულტურული მოდელის რეკონსტრუქცია. ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, რაშიც იგულისხმება ერთის მხრივ, ისტორიული ხასიათის წერილობითი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიებისა და მეორეს მხრივ, მისი არქეოლოგიურ, მატერიალურ კულტურასთან შეჯერების და შემდგომ, განზოგადების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

კომუნიკაციის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის, იდეებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის შესახებ სხვათა და საკუთარი ხედვის წერილობით და ზეპირსიტყვიერად წარმოდგენის უნარი, როგორც ქართულ ასევე ერთ–ერთ ევროპულ ენაზე; შეუძლია დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიით სარგებლობა. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის

ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; აქვს ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

სწავლის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად და თანმიმდევრულად წარმართვის უნარი და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი.

ღირებულებები: კურსდამთავრებულს აქვს საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი. აცნობიერებს და აღიარებს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, თავისუფლება, ეროვნული ღირსების შეფასება და პატივისცემა, ერთა შორის ურთიერთობების განმტკიცება და სხვ.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასე ბის კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ:

- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში;
- არქეოლოგიურ გათხრებზე და ექსპედიციებში;
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დამხმარე–ტექნიკური საქმიანობისთვის,
- არქივებსა და მუზეუმებში,
- კულტურის საკითხებით დაკავებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

დამატებითი ინფორმაცია: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში. სამაგისტრო პროგრამას შეუძლია ყოველწლიურად 10 მაგისტრანტის მიღება .

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: CV დანართის სახით; იხ. დანართი № 3

- ვახტანგ ლიჩელი
- გიორგი რჩეულიშვილი

- მარინე ფუთურიძე
- ზვიად კვიციანი
- გია სოხაძე
- გიორგი ოთხმეზური
- ნინო კალანდაძე
- თენგიზ ურუშაძე

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე, გამოიყენონ არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თსუ-ს არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (8 კორპუსი, ფართობი 20 კვმ). სტუდენტთა განკარგულებაშია რეგულარულად მოქმედი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა (არქეოლოგიური ძეგლები), ახლად მოპოვებული და მუდმივად შევსებადი არქეოლოგიური მასალა, კომპიუტერული ტექნიკა, თსუ-ს ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებული არქეოლოგიური ლაბორატორია (3 კორპუსი, ფართობი 70 კვმ), სადაც უზრუნველყოფილია მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები.
გარდა ამისა, არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ, რომ ისარგებლონ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებით, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში განთავსებული რესურს–ცენტრებით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.